



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება #58

2015 წლის 3 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, დაბა ფასანაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.53.05.059) პირველ სართულზე განთავსებული 19.3 კვ.მ (ერთი ოთახი) ი/მ ზვიად ამირიძისთვის (პ/ნ 16001008322) სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ი/მ ზვიად ამირიძეს (პ/ნ 16001008322) გადასცეს სარგებლობაში, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, დაბა ფასანაურში ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.53.05.059) პირველ სართულზე განთავსებული 19.3კვ.მ (ერთი ოთახი) ფართი ქირავნობის ფორმით.

2. ზვიად ამირიძის მიერ წელიწადში გადასახდელი ქირის ოდენობა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი